ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 90

5 აგვისტო 2020 წ.

ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვაჟა ოთარაშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური- ლევან მიაქავა.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობს ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო **დღის წესრიგი:**

საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (№11-01202062408;11-01202133420;11-01202171395) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ. (№15-032021763-03;15-032021625-03;15-0320206178-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

ლევან მიქავას თქმით, გლდანისა და ნაძალადევის რაიონულ გამგეობებს დასრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად „კეთილმოწყობითი ღონისძიებების"პროგრამაში ესაჭიროებათ კვარტალუტრი ცვლილებები. კერძოდ გლდანის რაიონის გამგეობა ითხოვს 248 000 ლარის გადმოტანას მეოთხედან მესამე კვარტალში, ხოლო ნაძალადევის რაიონის გამგეობა „კეთილმოწყობითი ღონისძიებების" პროგრამის „სუბსიდიის" მუხლში ითხოვს 40 000 ლარის დამატებას მთაწმინდის რაიონის გამგეობას, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების" პროგრამაში მესამე კვარტალში დამატებით სჭირდება 4300 ლარი.

გარდა ამისა შესათანხმებლად წარმოდგენილია ინფრასტრუქტურტის საქალაქო სამსახურის მიერ მოთხოვნილი ცვლილება. კერძოდ „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებების" პროგრამის წლიურ გეგმაში, არაფინანსური აქტივების მუხლში, სამსახური ითხოვს 3 173 100 ლარის დამატებას, რაც გადმოაქვს „საქონელი და მომსახურების" მუხლიდან (2 923 100 ლარი) და „საიმჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის „ პროგრამის არაფინანსური აქტივების მუხლიდან (250 000 ლარი). აღნიშნული ცვლილება ესაჭიროებათ ჭავაჭავაძის, ვეკუა-ხიზანიშვილის, ასევე ბარათაშვილის საფეხმავლო სივრცეების მასშტაბური კეთილმოწყობითი სამუშაოების შესასრულებლად.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) არაფინანსური აქტივების მუხლში ემატება 70 000 ლარი, მერიის ადმინისტრაციისათვის მიკუთვნებული ასიგნებების შესაბამისად შემცირების ხარჯზე. ცვლილება განპირობებულია ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსათვის გაძლიერებული ტექნიკური მახასიათებლების მქონე 18 ცალი მაგიდის კომპიუტერის შეძენის საჭიროებით.

წარმოდგენილი ცვლილებებზე შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც მთაწმინდის,გლდანის, ნაძალადევის რაიონული გამგეობები, ინფრასტრქტურის და კულტურის,განათლების , სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები და მერიის ადმინისტრაცია ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე

ოთარ გრიგოლია